

# არალითონური მინერალური პროდუქტების დამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები

## ეკონომიკურ სტატისტიკური ანალიზი შინაარსი

1. ინდუსტრიის აღწერა NACE 2 კლასიფიკატორით .....	2
2. არსებული მდგომარეობა .....	8
2.1. წარმოება .....	8
2.2. სანედლეულო ბაზა .....	15
3. ძირითადი ღონისძიებები .....	24
4. მოსალოდნელი შედეგები .....	29

# 1. ინდუსტრიის აღწერა NACE 2 კლასიფიკატორით

- NACE 2 კლასიფიკატორის სექცია C - დამამუშავებელი მრეწველობა;
- ჯგუფი (ორნიშნა დონის კოდი) 23 - სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება;

ეს განყოფილება შეიცავს:

- საწარმოო საქმიანობის სახეებს, რომლებიც დაკავშირებულია მინერალური წარმოშობის ცალკეულ ნივთიერებებთან: მინის და მინის პროდუქტების (მაგალითად, ბრტყელი მინის, ღრუ მინის, მინაბოჭკოს, ტექნიკური აღჭურვილობის და ა.შ.), კერამიკული პროდუქტების, ფილების და გამომწვარი თიხის პროდუქტების, ცემენტის და ფითხის წარმოებას ნედლეულიდან მზა პროდუქციის მიღებამდე;
- დამამუშავებელი და მოპირკეთებელი ქვის და სხვა მინერალური პროდუქტების წარმოებას.

- კლასი 23.1- მინის და მინის ნაწარმის წარმოება.

ეს ჯგუფი შეიცავს

- ნებისმიერი გზით დამზადებული ყველა ფორმის მინის და მინის ნაკეთობების წარმოებას;
- 23.11: ფურცლოვანი მინის წარმოებას;
  - 23.11.1 - ფურცლოვანი მინის წარმოებას: ფურცლოვანი მინის წარმოებას, მავთულით არმირებული, ფერადი ან ტონირებული მინის ჩათვლით;
- 23.12 - ფურცლოვანი მინის დაყალიბებას და დამუშავებას;
  - 23.12.1 - ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება.

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- განმტკიცებული ან მრავალშრიანი ფურცლოვანი მინის წარმოებას;
- მინის სარკეების წარმოებას;
- მრავალშრიანი საიზოლაციო მინის ნაწარმის წარმოებას;
- 23.13 - ღრუ მინის წარმოებას;
  - 23.13.1 - ღრუ მინის წარმოება;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ბოთლების და მინის ან ბროლის სხვა ტევადობების წარმოებას;
- მინის სასმისების და მინის ან ბროლის სხვა საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოებას.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- მინის სათამაშოების წარმოებას, იხ. 32.40.0;
- 23.14 - ბოჭკოვანი მინის წარმოებას;
  - 23.14.1 - ბოჭკოვანი მინის წარმოება;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ბოჭკოვანი მინის წარმოებას, მინის ბამბის და ბოჭკოვანი მინის ნაწარმის ჩათვლით.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ნაქსოვი ქსოვილების წარმოებას მინის ნართისაგან, იხ. 13.20.0;
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების წარმოებას მონაცემთა გადაცემის ან გამოსახულების პირდაპირი გადაცემისათვის, იხ. 27.31.0;
- 23.19 - მინის სხვა ნაწარმის წარმოებას და დამუშავებას, ტექნიკური მინის ნაწარმის ჩათვლით;
  - 23.19.1 - მინის სხვა ნაწარმის წარმოება და დამუშავება, ტექნიკური მინის ნაწარმის ჩათვლით;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ლაბორატორიული, ჰიგიენური ან ფარმაცევტული მინის ნაწარმის წარმოებას;
- მაჯის ან სხვა საათებისათვის მინის, ოპტიკური მინის და ოპტიკურად დაუმუშავებელი ოპტიკური ელემენტების წარმოებას;
- ბიჟუტერიაში გამოსაყენებელი მინის ნაწარმის წარმოებას, მინის იზოლატორების და მინის საიზოლაციო ფიტინგების წარმოებას;
- მინის გარსის წარმოებას ლამპებისათვის;
- მინის სტატუეტების წარმოებას;
- გზის საფარი ბლოკების წარმოებას მინისაგან;
- მინის ძეღურების ან მილაკების წარმოებას.

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ოპტიკურად დამუშავებული ოპტიკური ელემენტების წარმოებას, იხ. 26.70.0;
  - შპრიცების და სხვა სამედიცინო ლაბორატორიული სამარჯვების წარმოებას, იხ. 32.50.0.
- 23.2 - ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება;
    - 23.20 - ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება;
      - 23.20.1 - ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება;

ეს ქვეკლასი შეიცავს

- შუალედური პროდუქტების წარმოებას წიაღისეული არალითონური მინერალებისაგან, როგორცაა ქვიშა, ხრეში, ქვა ან თიხა.

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ცეცხლგამძლე დულაბის, ბეტონის და მისთ. წარმოებას;
- ცეცხლგამძლე კერამიკული ნივთების წარმოებას;
- თბოსაიზოლაციო კერამიკული საქონლის წარმოებას სილიკატური ფხვნილისაგან;
- ცეცხლგამძლე აგურის, ბლოკების, ფილების და მისთ. წარმოებას;
- რეტორტების, ტიგელების, მუფელების, ფრქვევანების, მილების, მილაკების და მისთ. წარმოებას;

ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:

- მაგნეზიტის, დოლომიტის ან ქრომიტის შემცველი ცეცხლგამძლე ნაკეთობების წარმოებას.
- 23.3 - სამშენებლო მასალების წარმოება თიხისაგან;
    - 23.31 - კერამიკული საფარების და ფილების წარმოება;
      - 23.31.1 - კერამიკული საფარების და ფილების წარმოება;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ბუხრის ან კედლის არაცეცხლგამძლე კერამიკული ფილების, მოზაიკური კუბების და მისთ. წარმოებას;
- არაცეცხლგამძლე კერამიკული გზის ფენილების და ძეღურების წარმოებას;

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ხელოვნური ქვის წარმოებას (მაგალითად, კულტივირებული მარმარილო), იხ. 22.23.0;

- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.20.0;
- კერამიკული აგურის და კრამიტის წარმოებას, იხ. 23.32.0;
- 23.32 - აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოებას გამომწვარი თიხისაგან;
  - 23.32.1 - აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოებას გამომწვარი თიხისაგან;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- არაცეცხლგამძლე სამშენებლო მასალების წარმოებას თიხისაგან;
- კერამიკული ფილების, კრამიტის, საკვამურის ხუფების, მილების, საიზოლაციო მილების და მისთ. წარმოებას;
- იატაკის ბლოკების წარმოებას გამომწვარი თიხისაგან;

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქციის წარმოებას, იხ. 23.20.0;
- არასამშენებლო არაცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქციის წარმოებას;

- 23.4 - ფაიფურის და კერამიკის სხვა ნაკეთობების წარმოება.

ეს ჯგუფი შეიცავს

- საბოლოო პროდუქტების წარმოებას წიაღისეული არალითონური მინერალებისაგან, როგორცაა ქვიშა, ღორღი, ქვა და თიხა;
- 23.41 - კერამიკული საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნაკეთობების წარმოებას;
  - 23.41.1 - კერამიკული საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნაკეთობების წარმოება;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- კერამიკული სასადილო ჭურჭლის და სხვა საყოფაცხოვრებო ან ტუალეტის ნაკეთობების წარმოებას;
- სტატუეტების და სხვა დეკორატიული კერამიკული ნაკეთობების წარმოებას;

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ხელოვნური ძვირფასეულობის წარმოებას, იხ. 32.13.0;
- კერამიკული სათამაშოების წარმოებას, იხ. 32.40.0;
- 23.42 - კერამიკული სანტექნიკური ნაკეთობების წარმოებას;
  - 23.42.1 - კერამიკული სანტექნიკური ნაკეთობების წარმოება;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- კერამიკული სანტექნიკური საკუთნობის წარმოებას, როგორცაა ნიჟარები, აბაზანები, ბიდეები, უნიტაზები და მისთ;
- სხვა კერამიკული ნაკეთობების წარმოებას;

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.20.0;
- კერამიკული სამშენებლო მასალების წარმოებას, იხ. 23.3;
- 23.43 - კერამიკული იზოლატორების და საიზოლაციო ფიტინგების წარმოებას;
  - 23.43.1 - კერამიკული იზოლატორების და საიზოლაციო ფიტინგების წარმოება;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ელექტრული იზოლატორების და საიზოლაციო ფიტინგების წარმოებას კერამიკისაგან;

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.20.0;
- 23.44 - სხვა ტექნიკური კერამიკული პროდუქტების წარმოებას;
- 23.44.1 - სხვა ტექნიკური კერამიკული პროდუქტების წარმოებას;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- კერამიკული და ფერიტული მაგნიტების წარმოებას;
- ლაბორატორიული, ქიმიური და სამრეწველო კერამიკული პროდუქტების წარმოებას;

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ხელოვნური ქვის წარმოებას (მაგალითად, კულტივირებული მარმარილო), იხ. 22.23.0;
- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.20.0;
- კერამიკული სამშენებლო მასალების წარმოებას, იხ. 23.3;
- 23.49 - სხვა კერამიკული ნაკეთობების წარმოებას;
- 23.49.1 - სხვა კერამიკული ნაკეთობების წარმოებას;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- კერამიკული ქოთნების, დოქების და მსგავსი ნაკეთობების წარმოებას, რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირების ან შეფუთვისათვის;
- კერამიკული პროდუქციის წარმოებას, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის;

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- კერამიკული სანტექნიკური საკუთნობების წარმოებას, იხ. 23.42.0;
- ხელოვნური კბილების წარმოებას, იხ. 32.50.0.
- 23.5 - ცემენტის, კირის და ბათქაშის წარმოება.
  - 23.51 - ცემენტის წარმოება;
  - 23.51.1 - ცემენტის წარმოება;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- კლინკერის და ჰიდრაულიკური ცემენტის წარმოებას, პორტლანდცემენტის, თიხამიწოვანი ცემენტის, წიდა ცემენტის და სუპერფოსფატური ცემენტის ჩათვლით;

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ცეცხლგამძლე დულაბის, ბეტონის და მისთ. წარმოებას, იხ. 23.20.0;
- მზა და მშრალი სამშენებლო ხსნარების და ბეტონის წარმოებას, იხ. 23.63.1, 23.64.0;
- ცემენტის ნაკეთობების წარმოებას, იხ. 23.69.0;
- სტომატოლოგიაში გამოსაყენებელი ცემენტის წარმოებას, იხ. 32.50.0;
- 23.52 - კირის და ბათქაშის წარმოებას;
- 23.52.1 - კირის და ბათქაშის წარმოებას;

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ჩაუმქრალი, ჩამქრალი და ჰიდრაულიკური კირის წარმოებას;

- ბათქაშის წარმოებას გამომწვარი თაბაშირის ან კალცინირებული სულფატისაგან;

ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:

- კალცინირებული დოლომიტის წარმოებას

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ბათქაშის ნაკეთობების წარმოებას, იხ. 23.62.0, 23.69.0;

- 23.6 - ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ცემენტის და ბათქაშისაგან 23.61 - ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის

- 23.61.1 - ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- სასაქონლო ბეტონის, ცემენტის ან ხელოვნური ქვის ნაკეთობების წარ- მოებას სამშენებლო დანიშნულებისათვის;
- კაფელის, კრამიტის, მოსაკირწყელი ფილების, ფილების, პანელების, მილების, ბოძების და მისთ.
- მზა სტრუქტურული კომპონენტების წარმოებას, ბეტონის ან ხელოვნური ქვისაგან მშენებლობის ან სამოქალაქო მშენებლობისათვის
- 23.62 ბათქაშის ნაკეთობების წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის
  - 23.62.1 ბათქაშის პროდუქტების წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ბათქაშის ნაკეთობების წარმოებას სამშენებლო დანიშნულებისათვის;
- ფიცრების, ფურცლების, პანელების და მისთ.
- 23.63 მზა ბეტონის წარმოება
  - 23.63.1 ბეტონის წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- მზა და მშრალი ბეტონის და სამშენებლო ნარევების წარმოებას

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ცეცხლგამძლე ცემენტის წარმოებას, იხ. 23.20.0
  - 23.63.2 ასფალტბეტონის წარმოება
- 23.64 ნარევების წარმოება
  - 23.64.1 ნარევების წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ფხვნილისებრი ნარევების წარმოებას

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ცეცხლგამძლე ნარევების წარმოებას, იხ. 23.20.0
- მშრალი ბეტონის და სამშენებლო ნარევების წარმოებას, იხ. 23.63.1
- 23.65. ბოჭკოვანი ცემენტის წარმოება
  - 23.65.1 ბოჭკოვანი ცემენტის წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ცემენტთან, თაბაშირთან ან სხვა შემკვრელ მინერალურ მასალებთან შერეული სამშენებლო მასალების წარმოებას მცენარეული ნედლეულისაგან (ხის მატყლის, ჩალის, ლერწმის, ლელქაშისაგან)
- ნაკეთობების წარმოებას აზბესტ-ცემენტის, ცელულოზის ბოჭკოვანი ცემენტის ან მსგავსი მასალებისაგან:
- გოფირებული ფურცლების (შიფერის), სხვა ფურცლების, პანელების, კრამიტის, მილების, მილაკების, რეზერვუარების, როფების, სარეცხელების, ბაკნების, ტევადობების, ავეჯის, ფანჯრის ჩარჩოების და მისთ.
- 23.69 სხვა ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ბათქაშის და ცემენტისაგან

- 23.69.1 სხვა ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ბათქაშის და ცემენტისაგან

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- სხვა ნაკეთობების წარმოებას ბეტონის, ბათქაშის, ცემენტის ან ხელოვნური ქვისაგან:
- ქანდაკებების, ავეჯის, ბარელიეფების, ლარნაკების, საყვავილე ქოთნების და მისთ.
- 23.7 ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება
  - 23.70 ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება
  - 23.70.1 ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ქვის ჭრას, დამუშავებას და მოპირკეთებას სამშენებლო მიზნებისათვის, სასაფლაოებისათვის, გზებისათვის, გადახურვითი სამუშაოებისათვის და ა.შ.
- ქვის ავეჯის წარმოებას

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- კარიერების ოპერატორების მიერ განხორციელებულ სამუშაოებს, მაგალითად, დაუმუშავებელი მსხვილად დაჭრილი ქვის წარმოებას, იხ. 08.11.1
- დოლაბების, აბრაზიული ქვის და მსგავსი პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.9
- 23.9 აბრაზიული პროდუქტების და არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ეს ჯგუფი შეიცავს

- სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოებას.
- 23.91 აბრაზიული პროდუქტების წარმოება
  - 23.91.1 აბრაზიული პროდუქტების წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- დოლაბების, სალესი ან გასაპრიალებელი ქვების და ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზიული პროდუქტების წარმოებას, რბილ ფუძეზე აბრაზიული პროდუქტების ჩათვლით (მაგალითად, ზუმფარის ქაღალდი)
- 23.99 სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
  - 23.99.1 სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- ფრიქციული მასალების და მათგან წარმოებული დაუმუშავებელი ნაკეთობების წარმოებას მინერალური ნივთიერებების ან ცელულოზის ფუძეზე
- მინერალური საიზოლაციო მასალების წარმოებას:
- წიდაბამბის, ქვის ბამბის და მსგავსი მინერალური ბამბის; შრეული ვერმიკულიტის, აფუებული თიხის და სხვა მსგავსი თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათჩამხშობი მასალების
- ნაკეთობების წარმოებას სხვადასხვა მინერალური ნივთიერებებისაგან:
- დამუშავებული ქარსის, ქარსის, ტორფის, გრაფიტის ნაკეთობების (ელექტრული ნაკეთობების გარდა) და მისთ.
- ასფალტის ან მსგავსი მასალებისაგან ნაკეთობების წარმოებას, მაგალითად, საწები ნივთიერებების ასფალტის ფუძეზე, ნახშირის ასფალტის სქელფისის და მისთ.
- ნახშირის და გრაფიტის ბოჭკოს და პროდუქტების წარმოებას (ელექტროდების და ელექტრული კომპონენტების გარდა)
- ხელოვნური კორუნდის წარმოებას

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:


- მინაბოჭკოს და მინაბამბისაგან უქსოვადი პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.14.0
- გრაფიტული ელექტროდების წარმოებას, იხ. 27.90.0
- ნახშირის და გრაფიტის შუასადებების წარმოებას, იხ. 28.29.

## 2. არსებული მდგომარეობა

### 2.1. წარმოება

ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორით არალითონური მინერალური პროდუქტების დამამუშავებელი ინდუსტრიის აღწერა აჩვენებს, რომ ამ ჯგუფის ძირითადი ნაწილი საშენი მასალების წარმოებაზე მოდის. საქართველოში ბოლო წლების სამშენებლო ბუმის მიუხედავად, ღრმად გადამამუშავებული სამშენებლო მასალების წარმოების ზრდის ტემპები ამკარად ჩამორჩება მოთხოვნის ზრდის ტემპებს და ბაზარი იმპორტირებული სამშენებლო პროდუქციითაა გაჯერებული.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მდგრადი ეკონომიკური ზრდის კვალობაზე სამშენებლო ბუმი საქართველოში გაგრძელდება, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ქვეყნის შინამეურნეობათა ნახევარზე მეტი 1960-1989 წლებში აგებულ სახლებში ცხოვრობს; მხოლოდ 6 პროცენტი ცხოვრობს 1990 წლის შემდგომა აგებულ საცხოვრისში.




წყარო: საქსტატი

საცხოვრისის აგების პერიოდის მიხედვით განაწილება რეგონებისა და ქალაქ-სოფლის ნიშნით რამდენადმე განსხვავებულია, თუმცა საერთო ტენდენციიდან გადახრა სტატისტიკურად არსებითი არ არის. მოტანილი განაწილება აჩვენებს, რომ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ამაღლების შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების საშენი მასალებზე მოთხოვნა საქართველოში მზარდი იქნება.

საშენი მასალების წარმოების დინამიკა საქართველოში ბოლო 36 წლის მანძილზე ერთობ არასტაბილური იყო, რასაც ადასტურებს ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა წარმოების გრძელვადიანი ტენდენციები. გასული საუკუნის 90-იან წლებში წინა ათწლეულთან შედარებით აღნიშნული პროდუქციის წარმოების მოცულობა მკვეთრად დაეცა. დეპრესია თითქმის ათი წელს გაგრძელდა. პოზიტიური ძვრები ამ სექტორში მხოლოდ 2003 წლიდან დაიწყო, როდესაც ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა წარმოების აღმავალი დინამიკა გამოიკვეთა, რომელიც განსაკუთრებით შთამბეჭდავი 2010-2012 და 2013-2016 წლებში იყო.




აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა პროდუქციის ნომეკლატურამაც. თუ გასული საუკუნის 80-იან წლებში სასაქონლო ბეტონის და ასფალტბეტონის წარმოება უმნიშვნელო - თითქმის ნულოვანი მასშტაბის იყო და ძირითადად ბეტონის კონსტრუქციები იწარმოებოდა, ბოლო წლებში წარმოების ძირითადი ნაწილი სასაქონლო ბეტონის წილად მოდის.



წყარო: საქსტატი

რამდენადმე მსგავს დინამიკას ავლენდა ცემენტის წარმოება, რომლის მოცულობაც გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში წინა ათწლეულთან შედარებით ასევე მკვეთრად შემცირდა, თუმცა დეპრესია აქ მხოლოდ ოთხ წელიწადს (1994-1997) გაგრძელდა. შემდგომ პერიოდში ცემენტის წარმოების ტენდენცია საერთო ჯამში ზრდას აჩვენებდა, თუმცა იყო შედარებით მოკლევადიანი ჩავარდნების პერიოდებიც. 2011-2016 წლებში ცემენტის წარმოების მოცულობა სტაბილურად ზრდაია.

აღსანიშნავია, რომ ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა წარმოებისგან განსხვავებით, წარმოებული ცემენტის მოცულობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია გასული საუკუნის 80-იან წლების დონეს.




წყარო: საქსტატი

თუ ცემენტის და ბეტონის წარმოებაში, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გამოცოცხლება შეიმჩნევა, სრულიად განსხვავებულია აგურის წარმოებაში არსებული ვითარება. გასული საუკუნის 80-იან წლებში ქვეყანაში წელიწადში 450 მილიონ პირობით აგურზე მეტი იწარმოებოდა; იგულისხმება როგორც ჩვეულებრივი თიხისგან გამომწვარი აგური, ისე ე.წ. სილიკატური აგური.

90-იანი წლებში კატასტროფული ვარდნის შემდეგ მდგომარეობა აგურის წარმოებაში პრაქტიკულად არ შეცვლილა. 2016 წლის მონაცემებით ქვეყანაში მხოლოდ 9 მილიონი პირობითი აგური იწარმოებოდა, რაც თითქმის 90-ჯერ ნაკლებია 80-იანი წლების მაქსიმუმთან შედარებით.


ერთი შეხედვით დარგის ასეთი დეპრესია შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ აგური, როგორც სამშენებლო მასალა სიძვირის გამო ნაკლებად მიმზიდველია მომხმარებლისათვის. ამ პროდუქტის სიძვირის მნიშვნელოვანი ფაქტორი კი შეიძლება იყოს წარმოების მაღალი ენერგოტევალობა. ვფიქრობთ, რომ აგურის წარმოების პერსპექტივები საქართველოში სერიოზულ განხილვას და შემდგომ სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს.



წყარო: საქსტატი

ბუნებრივი ქვის მოსაპირკეთებელი ფილების წარმოების სტატისტიკა მხოლოდ 90-იანი წლებიდან მოიპოვება. არსებული მონაცემებით ამ ჯგუფის პროდუქციის წარმოების დინამიკა ძალზე არასტაბილურია: შეინიშნება არსებითი მასშტაბის დაღმასვლა-აღმასვლების გრძელვადიანი ტალღისებური პერიოდები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2012 და 2015 წლების ნახტომისებური ზრდები, რასაც მომდევნო წლებში კვლავ კლება მოჰყვა.

მხოლოდ წარმოების მოცულობის დინამიკაზე დაკვირვებით ძნელია იმის თქმა თუ რა არის ასეთი არასტაბილური დინამიკის მიზეზი. ეს შეიძლება იყოს როგორც შიდა, ისე მსოფლიო ბაზარზე არსებული მოთხოვნის არამდგრადობა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მიწოდების ფაქტორებიც; კერძოდ, საუბარია ბუნებრივი ქვის დამუშავებაზე გაცემული ლიცენზიების დანაწევრებაზე, ლიცენზიანტების ფინანსურ რესურსებთან წვდომაზე, არსებული წარმოების დაბალ ტექნიკურ დონეზე და სხვა.




წყარო: საქსტატი

არალითონური მინერალური პროდუქტების გადამამუშავებელი ინდუსტრიის პროდუქციის ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქცია, როგორცაა სამშენებლო მინა და სამშენებლო კერამიკული ნაწარმი, დღეისათვის საქართველოში არ იწარმოება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს როგორც ამ პროდუქციის სანედლეულო ბაზა, ისე ისტორიული გამოცდილება.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილი სტატისტიკა აჩვენებს, სამშენებლო მასალებიდან საქართველოში მხოლოდ დაბალტექნოლოგიური სამშენებლო მასალები იწარმოება. შედარებით მაღალტექნოლოგიური მასალებიდან მხოლოდ მოსაპირკეთებელი ბუნებრივი ქვის ფილებისა და ცემენტის წარმოება შეიძლება გამოვყოთ. მაღალტექნოლოგიური სამშენებლო მასალები და არალითონური მინერალური პროდუქტების გადამამუშავების სხვა პროდუქცია პრაქტიკულად მთლიანად იმპორტირებულია.

იმპორტ-ექსპორტისა და ადგილობრივი წარმოების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადგილობრივი ბაზრის შეფასება ჩამოთვლილი პროდუქტებიდან მხოლოდ ცემენტისთვის არის შესაძლებელი. ამის მიზეზი წარმოებისა და იმპორტ-ექსპორტის მონაცემები არათავსებადობაა. მაგალითად, მოსაპირკეთებელი ბუნებრივი ქვის ფილების წარმოება მოცემულია ათას კვადრატულ მეტრებში, ხოლო იმპორტისა და ექსპორტის მონაცემების განზომილების ერთეული ათასი ტონაა. ამდენად მონაცემები არ არის შედარებადი.




წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემები

ცემენტის შიდა ბაზრის მოცულობა 2008-2016 წლებში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რომელიც განსაკუთრებით 2015-2016 წლებში დაჩქარდა. შიდა ბაზრის დინამიკა სამშენებლო ბუმთანაა დაკავშირებული. ამ ფონზე საყურადღებოა 2011-2016 წლებში ადგილობრივი წარმოების წილის კლების შეუქცევადი ტენდენცია, რაც ორ რამეზე მიუთითებს:

- ადგილობრივი წარმოება ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზარზე ზრდადი მოთხოვნის შესაბამის მიწოდებას - წარმოების განვითარების ტემპები ჩამორჩება მოთხოვნის ზრდის ტემპს;
- ადგილობრივი წარმოება ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის შესაბამისი ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

ორივე შემთხვევაში ცემენტის წარმოების სფერო შესაძლო მნიშვნელოვანი გადაიარაღების საჭიროების წინაშე დადგეს.


თაბაშირის წარმოება საქართველოში პრაქტიკულად განუვითარებელია, თუმცა ამის რესურსი საქართველოში არსებობს. იმპორტისა და ექსპორტის მონაცემები აჩვენებს, რომ ქვეყანაში მოხმარებული თაბაშირი მთლიანად იმპორტირებულია. იმპორტის მაჩვენებლების (ანუ ამ შემთხვევაში ბაზრის მოცულობა, ვინაიდან შიდა წარმოება ნულოვან დონეზეა) დინამიკა 2009-2014 წლებში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც 2015 წელს ნახტომისებური ვარდნით შეიცვალა, თუმცა 2016-2017 წლებში ზრდის ტენდენცია ისევ აღდგა. ყოველივე ეს თაბაშირზე არსებულ მოთხოვნაზე მეტყველებს, რასაც ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს.



წყარო: ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი


თაბაშირის ნაწარმის იმპორტიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანია ექსპორტირებული პროდუქციის დინამიკა, რომელიც თვით თაბაშირის იმპორტ-ექსპორტის მონაცემებიდან გამომდინარე იმპორტირებული თაბაშირით იწარმოება. მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ თაბაშირის ნაწარმის წარმოება იმდენად დაბალია, რომ მისი ცალკე გამოყოფა ვერ ხერხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თაბაშირის ნაწარმის ექსპორტის ძირითადი ნაწილი რეექსპორტია. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა 2008-2014 წლებში აღმავალი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2015 წელს არსებითი შემცირების შემდეგ 2016-2017 წლებში ზრდის ტენდენცია კვლავ აღდგა.

თაბაშირის ნაწარმის ექსპორტის მოცულობა არსებითად ჩამორჩება იმპორტის სიდიდეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ თვალსაზრისითაც საქართველო იმპორტდამოკიდებულია.



წყარო: ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი

საქართველოში კერამიკული ფილების ინდუსტრიული წარმოება არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას აქვს შესაბამისი ნედლეული და წარმოების ისტორიული გამოცდილება. კერამიკული ფილების იმპორტის მოცულობა 2008-2017 წლებში განუხრელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც ამ პროდუქციაზე მოთხოვნის განუხრელ ზრდაზე მეტყველებს. ექსპორტის მოცულობა პრაქტიკულად ნულოვანია.




წყარო: ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი

იმპორტის მოცულობის ასეთი მკვეთრი ზრდა ადგილობრივი წარმოების განვითარების რეალურ პერსპექტივებზე მიუთითებებს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში როგორც მოჭიქურებული ისე მოუჭიქურებელი სამშენებლო კერამიკული ფილების წარმოების ყველა წინაპირობა არსებობს.

დამუშავებული ქვის იმპორტისა და ექსპორტის მონაცემები, როგორ ზემოთ აღნიშნეთ, არათავსებადია ადგილობრივი წარმოების მონაცემებთან. თუმცა თუმცა გარკვეული დაშვებით შესაძლებელია წარმოებული პროდუქციის წონის განსაზღვრა, რაც თავსებადი იქნება იმპორტისა და ექსპორტის მონაცემებთან. თუ დავუშვებთ, რომ წარმოებული ერთი კვადრატული მეტრი ბუნებრივი ქვის ფილის სისქე არის საშუალოდ 4 სანტიმეტრი, ხოლო სიმკვრივე 2.6 ტონა/მ<sup>3</sup>, რაც არის გრანიტის და გრანიტის მაგრავეარი ქვების საშუალო სიმკვრივე, შესაძლებელია გავიანგარიშოთ წარმოებული პროდუქციის წონა. მიღებული მაჩვენებელი არ იქნება ძალიან მაღალი სიზუსტის, მაგრამ დროითი მწკრივის ანალიზისათვის სრულიად საკმარისი მიახლოებით იქნება გაანგარიშებული. დამუშავებული ქვის შიდა ბაზარი 2008-2012 წლებში მკვეთრად ზრდადი იყო, 2013 წლის მკვეთრი შემცირების შემდეგ კი იგი რამდენადმე დასტაბილურდა, თუმცა 2017 წელს იმპორტის მოცულობა კვლავ შემცირდა.


თუ ერთმანეთს შევადარებთ 2008-2017 წლებში დამუშავებული ქვის ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის მოცულობებს, ტენდენცია საპირისპიროა, რაც იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლებაზე მიუთითებს.



წყარო: ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი

ფურცლოვანი მინის ნაწარმიც, ისევე როგორც არალითონური მინერალური ნედლეულის გადამამუშავების სხვა პროდუქტების უმეტესობა, მთლიანად იმპორტირებულია. მისი იმპორტის მოცულობა 2009-2014 წლებში მკვეთრად გამოხატულის ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რომეც 2015 წლის მკვეთრი ვარდნის შემდეგ ისევ გაგრძელდა. თუმცა 2015 წლის შემცირება იმდენად მკვეთრი იყო, რომ ზრდის მიუხედავად, 2017 წლის მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩება 2015 წლისას.

დიაგრამა #11: ფურცლოვანი მინის შიდა ბაზრის მოცულობა ადგილობრივი წარმოების წილი



წყარო ნვინანსთაწარმის ექსპორტი, მართალია არსეტინ

საქართველოში არსებობს მინის წარმოებისთვის საჭირო ნდლეული სრული პაკეტი. ამდენად მინის წარმოების განვითარებაც საკმაოდ პერსპექტიულია.

## 2.2. სანედლეულო ბაზა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის“ მიერ 2015 წელს მომზადებული საქართველოს ბუნებრივი რესურსების აღწერის მონაცემების თანახმად (ISBN 978-9941-0-8386-0 და ISBN 978-9941-0-8387-7) ქვეყანაში არალითონური მინერალური რესურსები საკმაოდ მრავალფეროვანია, ხოლო მარაგები, საქართველოს მასშტაბისათვის საკმაოდ დიდი. ქვემოთდებარე ცხრილში მოცემულია A+B+C მარაგები, სადაც:

- A. ნიშნავს ზედაპირთან ახლოს მყოფ სამრეწველო მარაგს;
- B. ნიშნავს სიღრმეში მყოფ სამრეწველო მარაგს;
- C. სადაც:
  - C<sub>1</sub> ნიშნავს დიდ სიღრმეში სამრეწველო მარაგს.
  - C<sub>2</sub> ნიშნავს პროგნოზულ მარაგს.

განსაკუთრებით დიდია მოსაპირკეთებელი ქვების მარაგი. საქართველოში (აფხაზეთის გარეშე) წარმოდგენილია 23 სახეობის მოსაპირკეთებელი ქვა საერთო ჯამში დაახლოებით 240 მილიონი კუბური მეტრი მარაგით. სახეობების მიხედვით მარაგები არსებითად განსხვავებულია: მარმარილოსებრი კირქვის 54 მილიონი კუბური მეტრი სავარუდო მარაგიდან დაწყებული, მორენული დიაბაზის 260 ათასი კუბური მეტრი მოცულობის სავარაუდო მარაგით დამთავრებული. დეტალური განაწილება ქვემოთდებარე ცხრილშია მოცემული.

საქართველოში აგრეთვე მოიპოვება ან შესაძლებელია მოპოვებული იქნას სამი სახეობის საკედლე ქვა, რომლის ჯამური მარაგი 32 მილიონი კუბური მეტრია და ძირითადად კირქვის და ტუფის სახითაა წარმოდგენილი.

დაახლოებით 21 მილიონი კუბური მეტრია თაბაშირის მარაგი და ეს მაშინ, როდესაც თაბაშირის და თაბაშირის ნაწარმის იმპორტი მთლიანობაში მზარდ ტენდენციას ავლენს, ხოლო თაბაშირის საექსპორტო ნაწარმი, თვით თაბაშირის ნულოვანი ადგილობრივი წარმოების ფონზე, იმპორტირებული ნედლეულისგან მზადდება.

საკმაოდ დიდია გამოსაწვავი კირქვის მარაგიც - დაახლოებით 148 მილიონი კუბური მეტრი, რაც იმას ნიშნავს რომ ამ ნედლეულის ბაზაზე სავსებით რეალურია სამშენებლო კირის ინდუსტრიული წარმოების გამართვა. გარდა ამისა, ამ მარაგებით წარმოებული სამშენებლო კირი სილიკატური აგურის წარმოებაში შეიძლება იქნას გამოყენებული. მით უმეტეს, რომ ეს ნედლეული ერთსა და იმავე ადგილებზე (ერთსა და იმავე მნიციპალიტეტებში) არის განლაგებული.

ერთობ მნიშვნელოვანია ცემენტის ნედლეულის მარაგი. მართალია, ცემენტის წარმოება საქართველოში საკმაოდ კარგადაა განვითარებული, თუმცა პროდუქცია მრავალფეროვანი არაა.

ასევე საკმაოდ დიდია კვარცის ქვიშის მარაგი - 100 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი. ამჟამად ეს ნედლეული მხოლოდ დუღაბის შემავსებლად გამოიყენება, თუმცა იგივე ნედლეულის ბაზაზე შესაძლებელია მინის და სილიკატური აგურის წარმოება.

აგრეთვე მნიშვნელოვანია კერამიკული წარმოებაში გამოყენებადი თიხების მარაგებიც, რომელთა ბაზაზეც შესაძლებელია კერამიკული პროდუქციის (როგორც კერამიკული ფილების, ისე კერამიკული ჭურჭელის და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ნივთების) წარმოების გამართვა, რომელიც ამჟამად მხოლოდ იმპორტირებულია.

**ცხრილი #1: არალითონური წიაღისეულის საბადოების განაწილება და მოცულობა სახეობების მიხედვით (A+B+C<sub>1</sub>, ათასი კუბური მეტრი)**

ჯგუფის სახელი	მასალა	მარაგები A+B+C <sub>1</sub> , ათასი კუბური მეტრი
მოსაპირკეთებელი ქვები	1. ანდეზიტი	1,654
	2. ბაზალტი	50,418
	3. ბაზალტური ლავობრექცია	113
	4. გაბრო	4,077
	5. გაბრო-დიაბაზი	1,627
	6. გაბროდიორიტი	550
	7. გრანიტი	1,520
	8. დაციტი	2,289
	9. დიაბაზი	9,616
	10. დიაბაზის მორენა	261
	11. დიაბაზ-პორფირიტი	822
	12. დიორიტი	14,925
	13. დოლერიტი	5,456
	14. კვარციანი დიორიტი	4,620
	15. კირქვა	18,759
	16. ლოდნარი	42
	17. მარმალროსებრი კირქვა	6,528
	18. ტეშენიტი	6,165
	19. ტრავერტინი	78
	20. ტუფი	19,401
	21. ტუფობრექცია	5,404
მარმარილო და მარმარილოსებრი კირქვები	1. მარმარილო	5,690
	2. მარმარილოსებრი კირქვა	58,933
ცარცისებრი კირქვები	1. კირქვა	3,962
სახერხი ქვა და ლორდი	1. ანდეზიტი	10,095
	2. დიორიტ-დაციტი	1,097
	3. კირქვა	420,898
	4. პორფირიტი	11,000



ჯგუფის სახელი	მასალა	მარაგები A+B+C <sub>1</sub> , ათასი კუბური მეტრი
ქვიშა სამშენებლოდ და მინისათვის	1. კვარცის ქვიშა	116,819
ბეტონის მსუბუქი შემავსებლები	1. გრანიტი	22,849
	2. ვულკანური ფერფლი	1,367
	3. ვულკანური წიდა	196,107
	4. პერლიტი	13,500
	5. ტუფოლაგი	6,280
სამშენებლო ქვიშა-ხრეში	1. ქვიშა-ხრეში	657,653
სადორღე ინერტული მასალა	1. კირქვა	29,388
	2. ტუფოქვიშაქვა	4,260
	3. ქვიშაქვა	1,476
სახურავი ფიქლები	1. ფიქალი	5,516
საკირე კირქვები	2. კირქვა	183,073
სააგურე თიხები	3. თიხა	143,974
ცემენტის ნედლეული	1. თიხა	136,477
	2. კირქვა	331,990
თაბაშირი	3. თაბაშირი	23,539
ლითოგრაფიული ქვა	1. ლითოგრაფიული ქვა	120
კერამიკული თიხა	1. კერამიკული თიხა	2,504
	2. პეგმატიტი	2,232
	3. ტრაქიტი	945

წყარო: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, 2015

არალითონური წიაღისეული საერთო მარაგები და მისი ძირითადი ნაწილის მუნიციპალური განაწილება ასეთია:

### 1. არალითონური წიაღისეული, სულ

არალითონური წიაღისეულის A+B+C<sub>1</sub> მარაგი, სულ 2191.87 ათასი კუბური მეტრია. ყველაზე მსხვილი საბადოები კი შემდეგ მუნიციპალიტეტებშია განთავსებული

- 1.1. თერჯოლა - 246.28 ათასი კუბური მეტრი
- 1.2. მცხეთა - 196.45 ათასი კუბური მეტრი
- 1.3. მარნეული - 135.22 ათასი კუბური მეტრი
- 1.4. კასპი - 128.45 ათასი კუბური მეტრი
- 1.5. ჭიათურა - 123.58 ათასი კუბური მეტრი
- 1.6. ნინოწმინდა - 111.41 ათასი კუბური მეტრი
- 1.7. წალენჯიხა - 76.87 ათასი კუბური მეტრი
- 1.8. ახალქალაქი - 73.68 ათასი კუბური მეტრი
- 1.9. ბოლნისი - 72.76 ათასი კუბური მეტრი
- 1.10. საჩხერე - 71.95 ათასი კუბური მეტრი
- 1.11. დედოფლისწყარო - 71.03 ათასი კუბური მეტრი
- 1.12. ხონი - 69.7 ათასი კუბური მეტრი

ცალკეული სახეობების მიხედვით წიაღისეულის ძირითადი მარაგები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა გაფანტული. კერძოდ:

### 2. მოსაპირკეთებელი ქვები

მოსაპირკეთებელი ქვების A+B+C<sub>1</sub> მარაგი, სულ 149.66 ათასი კუბური მეტრია. ყველაზე მსხვილი საბადოები კი შემდეგ მუნიციპალიტეტებშია განთავსებული

- 2.1. ბოლნისი - 24.31 ათასი კუბური მეტრი
- 2.2. თეთრიწყარო - 20.33 ათასი კუბური მეტრი
- 2.3. წალკა - 19.11 ათასი კუბური მეტრი

- 2.4. მარნეული - 14.67 ათასი კუბური მეტრი
- 2.5. ასპინძა - 14.12 ათასი კუბური მეტრი
- 2.6. წყალტუბო - 12.43 ათასი კუბური მეტრი
- 2.7. დმანისი - 9.09 ათასი კუბური მეტრი

### 3. მარმარილო და მარმარილოსებრი კირქვები

